არის გარკვეული შემთხვევები, როცა ლიტერატურის და ტექსტის მნიშვნელობას ადამიანები ხელახლა გააცნობიერებენ და ემოციურად შეიგრძნობენ ხოლმე, ეს განცდა მქონდა, როდესაც გიორგი სოსიაშვილის წიგნს ვკითხულობდი. იმიტომ რომ ეს იყო ადამიანის პირად ემოციურ განცდასთან, პირად ტრამვატულ გამოცდლლებასთან დაკავშირებული ტექსტები. ეს პირადულია ავტორისთვის, და ეს პირადული იყო ჩემთვის, როგორც მკითხველისთვის, რადგან, ის რაც გამოცდილია ამ ავტორის მიერ და რაც გადმოტანილია ამ ტექსტებში, არ არის თითეული ჩვენგანისგან განყებული მდგომარეობა. ჩვენ ყველამ ეს ერთად გამოვიარეთ და ვიცით, რომ გიორგი სოსიაშვილმა, როგორც იმ კუთხის მკვიდრმა, გამოიარა სხვა განცდით, სხვა მდგომარეობით და ეს განცდა ტექსტებში გადმოცემილია იმდენად ღრმად და შთამბეჭდავად, როგორსაც მე არ ველოდი ზოგადად მწერლობისგან, ცხოვრების ამ ეტაპზე. როდესაც არის ადამიანი ახალგაზრდულ, ყმაწვუილურ ასაკში, როდესაც შეუძლია ტექსტს შეუძლია ძალიან გულწრფელად მიუდგეს და ტექსტისგან მიიღოს მთელი ის ემოციური დატვირთვა რაც შეიძლება მოდის, მაგრამ ჩვენს ასაკში, თქვენ ალბათ ამაში დამეთანხმებით, იოლი არ არის ტექსტმა მოახდინოს ასეთი ემოციური ზეგავლენა და მით უმეტეს ეს არის ძალიან გულწრფელად გამოხატული ზემოქმედება, რამდენადაც ჩვენ ეს ყველამ ვიცით, და ეს არის ის შემთხვევა, როდესაც ავტორს არ ვესაუბრებით ასეთ თემებზე, როდესაც რეალურ ცხოვრებაში ვხვდებით. ყველამ ვიცით, რომ გიორგი პირადად სხვაგვარად, სხვა ემოციით გამოცდიდა აგვისტოს ომის ისტორიას, მაგრამ მას შემდეგ ჩვენ ბევრჯერ შევხვედრივართ და მოგვიკითხავს ერთმანეთი, მაგრამ ვერ ვსაუბრობთ ამ ემოციებზე. მაგრამ როდესაც მწერალს შეუძლია ეს დაწეროს და მწერალი ამას ახერხებს. ამას მხოლოდ ნამდვილი მწერალი შეძლებს და ეს სხვა მდგომარეობაა. ყოფიერების და ყოველდღიურობის ფასადს მიღმა ყველამ ვიცით რა ემოციების მატარებელია თითოეული ჩვენგანი, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს ხოლმე შეხების წერტილები. ცხადია, ჩვენ გვაქვს ხოლმე საქმიანი საუბრები, ჯერ კიდევ 2006 წელს, როდესაც საქართველოში იქმნებოდა საგანმანათლებლო რესურსცენტრების სტრუქტურა, გიორგი სოსიაშვილი, როგორც ძალიან ახალგაზრდა, ნიჭიერი და ენთუზიასტი ადამიანი იქნა შერჩეული რესურსცენტრის ხელმძღვანელის პოზიციაზე. ამის მერე ის გადავიდა გორის უნივერსიტეტის რექტორად, ასევე ძალიან საპატიო და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, მაგრამ ამის შემდეგ ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ საქმეზე საუბრით შემოიფარგლებოდა. მე ვიცოდი, რომ ამ ადამიანს შეიძლებოდა ასეთი ტკივილი ჰქონოდა უკან. იმის თქმა მინდა, რომ აგვისტოს ომი არ იყო ისეთი რამ, რაც თითოეული ჩვენგანის ოჯახში არ შემოსულიყო. ეს ომი, ნამდვილად შემოვიდა ყველას ოჯახში. ამ წიგნმა მე გამახსენა ჩემი ოჯახის გამოცდილება, როდესაც ჩემმა ასაკოვანმა და ქრონიკული ავადმყოფობით გატანჯულმა დედამ აგვისტოში გამოაცხადა, რომ თუ კი ჩემ სამშობლოს ბომბავენ, თუ კი ასე ფეხქვეშ თელავენ ჩემ სამშობლოს, მე აღარ ავდგები ფეხზე, მე აღარ მინდა სიცოცხლეო, მართლაც ის რამდენიმე თვეში ისე გარდაიცვალა, რომ ფეხზე აღარ ამდგარა. ეს შეიძლება არ იყოს უშუალოდ გორის მცხოვრების ემოცია, მაგრამ ესაა თითოეული ქართველის ემოცია, რომელიც ცხოვრობდა ამ მდგომარეობაში. ეს წიგნი, როდესაც ადამიანმა შეიძლება ხელში აიღოს, ის რას უნდა ელოდოს? 21-ე საუკუნის აგვისტოს ომზე ბევრი წიგნი დაიწერა საბედნიეროდ, ქართულ ლიტერატურაში იყო ძალიან ადეკვატური გამოხმაურება აგვისტოს ომზე. ეს იყო გურამ მეგრელიშვილის, დავით გოგიბედაშვილის, ლაშა ბუღაძის, თამთა მელაძის წიგნები. ეს იყო ისეთი წიგნები,

რომლებიც ქართულ ლიტერატურაში თავის კვალს დატოვებენ, მაგრამ რატომ არის ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი გიორგი სოსიაშვილის წიგნი და რატომ გახდა უფრო ემოციური. ცხადია, პირველი, იმიტომ რომ ეს არის ტრამვასთან უშუალო შეხების გამოცდილების ადამიანის მდგომარეობა. როდესაც ჩვენს ტრამვაზე ვსაუბრობთ, ისიც ვიცით რომ ისტორიული, კულტურული, ნაციონალური ტრამვები ლიტერატურაში უნდა გამოისახოს. თუ ლიტერატურა ამას არ ახორციელებს, მაშინ ლიტერატურას ყოველთვის ექნება ეს რეპრესირებული, მიჩქმალული ტრამვები რომლებლსაც დასჭირდება რეალურ სამყაროსთან კონტაქტი გარკვეულ მომენტში. საზოგადოებას, ხალხს დასჭირდება ამაზე რეფლექსია და აგვისტოს ომის რეფლექსია მოხდა ძალიან სწრაფად ქართულ ლიტერატურაში. ეს თავისთავად ძალიან კარგია. დაიწერა ისეთი წიგნებიც, მაგალითად ზაზა ცოტნიაშვილის, რომელიც თავად არის ამ ტრამვის მატარებელი, უშუალოდ. თუ კი ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ რომ ლაშა ბუღაძე არ არის უშუალო შეხებაში ამ გამოცდილებასთან, თუმცა წერენ ის ავტორებიც, რომელბიც უშუალო შეხებაში არიან ამ ტრამვებთან. ამ შემთხვევაში გამოცდილება, ტრადიცია, წერის ტერქნიკა შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი. ჩამოთვლილმა მწერლებმა ისარგებლეს თანამედროვე წერის ტექნიკით ამ პრობლემის გადმოცემისას, სიუჟეტის ასაწყობად, თხრობის პრინციპისას, მაგრამ გიორგი სოსიაშვილი სარგებლოს, წმინდა იმ რეალისტურეი არსენალით, რაც ლიტერატურაში არსებობს და მინდა ვთქვა რომ, როცა 21-ე საუკუნეში ასე, ემოციურად და ასე შთამბეჭდავად შეიძლება ამ ლიტერატურული არსენალის გამოყენება, ესეც შეიძლება იყოს ერთგავარი ლიტერატურული აღმოჩენა, ძველის ხელახალი აღმოჩენა. ვიტყოდი, რომ რეალისტური პრონციპი, რომლითაც ეს მოთხრობები არის დაწერილი, ერთდროულად ადვილი დასაწერი არ არი. აქ, ყოველთვის არის საშიშროება შემოიპაროს სიყალბე, თვით იმ ადამიანსაც, რომელიც არ წერს ყალბი ემოციით და ნამდვილად ვიცით, რომ ეს ემოცია თავად გამოსცადა, შეიძლება გამოუვიდეს ყალბი ტექსტი, მაგრამ ამ მოთხრობებში არც ერთგან არ არის სიყალბის განცდა. ეს არის ძალიან დიდი მიღწევა რეალისტი და ზოგადად მწერლის მიერ გახორციელებული, იმიტომ რომ რეალიზმს ის პოტენციალი, რომელიც ლიტერატურაში აქვს ვიცით, მაგრამ რეალისტურ ლიტერატურას შეუძლია ხელახლა იცოცხლოს, თავისი სისტემის ფარგლებში, ეს ბევრს არ დაუდასტურებია. ეს ჩემთვის დაადასტურა ამ წიგნმა.